ბაობაბი

გაიხსენე, რომელი ხეები იზრდება აფრიკაში. რომელი მათგანია განსაკუთრებული? წაიკითხე ტექსტი და გაეცანი ერთ-ერთ ასეთ ხეს.

ბაობაბი აფრიკასა და ავსტრალიაში იზრდება. ის უცნაური ხეა. შეხედავ და მიწაში უკუღმა **ჩაფლული** გეგონება. მისი ტოტები ზემოთ აწეულ ფესვებს ჰგავს. ხის სიმაღლე 30-40 მეტრია. ბაობაბს მსხვილი ტანი აქვს. აქ ის წყალს აგროვებს. ზოგი მათგანი **ფორმით** ჩაიდანს ჰგავს, ზოგი – ბოთლს. ისხამს ნესვის მსგავს ნაყოფს. ბაობაბი ძალიან დიდხანს ცოცხლობს.

ამ ხის შესახებ არაერთი **ლეგენდა** არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ბაობაბი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. ამის შესაჩერებლად ღმერთმა ხე თავდაყირა გადარგო. მეორე ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა **მხეცებს** ხეების თესლები დაურიგა. ბაობაბის თესლი აფთარს ერგო. ეწყინა აფთარს ეს. მან თესლი უკუღმა ჩააგდო მიწაში. ამიტომ გაიზარდა ბაობაბი უკუღმა.

ბაობაბს ბევრ რამეში იყენებენ. მისი **ქერქისგან** ამზადებენ ბადეს, თოკს. ხის ფოთლებს, თესლსა და ნაყოფს ჭამენ. მისგან ასევე ამზადებენ საპონს, წებოს, რეზინს, წამალს. ამიტომ უყვართ ბაობაბი აფრიკასა და ავსტრალიაში.

შენი აზრით, რატომ შეიქმნა ლეგენდები ბაობაბზე?

კომპონენტი: *ფაქტი და მოსაზრება*, **დონე:** *2.2*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ბაობაბის შესახებ არსებობს რამდენიმე უცნაური ლეგენდა.

ბ) ლეგენდა ბაობაბის შესახებ, ალბათ, არ შეესაბამება სინამდვილეს.

გ) ცნობილია, რომ აფრიკასა და ავსტრალიაში ძალიან უყვართ ბაობაბი.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს ბაობაბის აგებულების შესახებ?

ა) ბაობაბი აფრიკაში იზრდება და ძალიან დიდხანს ცოცხლობს.

ბ) ბაობაბის ტოტები ზემოთ აწეულ ფესვებს ჰგავს.

გ) ბაობაბის ქერქისგან ამზადებენ თოკსა და ბადეს.

3 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რამდენ ხანს ცოცხლობს ბაობაბი.

ბ) რა მზადდება ბაობაბის ქერქისგან.

გ) რატომ აქვს ბაობაბს უცნაური ფორმა.

4 ტექსტში *არ ჩანს*:

ა) ბაობაბის რომელ ნაწილს იყენებენ საქმელად.

ბ) რატომ ადარებენ ბაობაბს ამოყირავებულ ხეს.

გ) როგორ ახერხებენ ბაობაბის ასაკის დადგენას.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

ბაობაბი თითქოს უკუღმა არის მიწაში **ჩაფლული**.

ა) ამოსული. ბ) გაზრდილი. გ) ჩარგული.

2 შეაერთე ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ფორმა	ხის გარეთა ფენა, რომელიც მას ადვილად ეცლება.
2. ლეგენდა	გარეული, მტაცებელი ცხოველი.
3. მხეცი	გარეგნული მოხაზულობა, მოყვანილობა.
4. ქერქი	ხალხური გადმოცემა, თქმულება.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

ა) ზოგი – ყველა. ბ) მსხვილი – სქელი. გ) წაღმა – უკუღმა.

4 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) მიწა. ბ) ნაყოფი. გ) ქერქი. დ) ფესვი.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ბაობაბი ისხამს ნესვის *(მსგავსი)* ---------- ნაყოფს.

2. ბაობაბის ნაყოფი *(ნესვი)* ---------- ჰგავს.

2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მე მეგონება. შენ გეგონება.

1. მე მაქვს. შენ ----------.

2. მე მერგო. შენ ----------.

გრამატიკა

3 **სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.**

ბაობაბის ---------- ამზადებენ ბადეს. *(ქერქისგან / ქერქიდან)*

4 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

[X] *გავს.*	[ ] *ჰგავს.*
1. [ ] მოწონდა.	[ ] მოსწონდა.
2. [ ] არაერთი ლეგენდები.	[ ] არაერთი ლეგენდა.
3. [ ] მსგავსი.	[ ] მზგავსი.

წერა

1 **დაწერე ტექსტის მიხედვით, რა აქვთ საერთო ბაობაბის შესახებ არსებულ ლეგენდებს.**

---

2 **დაფიქრდი, რომელი ხე გიყვარს ყველაზე მეტად. აღწერე ეს ხე და ისაუბრე, როგორ იყენებს მას ადამიანი. გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.**